

რატიფიცირებულია საქართველოს პარლამენტის  
7.05. 2003 წლის N 2146 -ის დადგენილებით

### შეთანხმება

საქართველოსა და ამერიკის შეერთებულ შტატებს შორის  
სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოსათვის  
პირთა გადაცემის შესახებ

საქართველო და ამერიკის შეერთებული შტატები, შემდგომში „მხარეებად“  
წოდებულნი,

ადასტურებენ გენოციდის, კაცობრიობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთა და  
სამხედრო დანაშაულთა ჩამდენების სამართალში მიცემის მნიშვნელობას.

აღნიშნავენ, რომ ქ. რომში, 1998 წლის 17 ივლისს, გაერთიანებული ერების  
ორგანიზაციის სრულუფლებიან წარმომადგენელთა კონფერენციაზე სისხლის  
სამართლის საერთაშორისო სასამართლოს დაფუძნების შესახებ მიღებული, სისხლის  
სამართლის საერთაშორისო სასამართლოს რომის სტატუტი მიზნად ისახავს შეავსოს  
და არა შეცვალოს სისხლის სამართლის ეროვნული იურისდიქცია.

ითვალისწინებენ, რომ საქართველომ და ამერიკის შეერთებულმა შტატებმა გამოხატეს  
მზადყოფნა, როდესაც საჭიროა გამოიძიონ და გაასამართლონ ქმედებები, რომლებიც  
შედიან სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს იურისდიქციაში და  
რომლებიც სავარაუდოდ ჩადენილ იქნა მათი ოფიციალური პირების, მოხელეები,  
სამხედრო მოსამსახურეებისა და სხვა მოქალაქეების მიერ.

მხედველობაში იღებენ რა, რომის სტატუტის 98-ე მუხლს.

შეთანხმდნენ შემდეგზე:

1. წინამდებარე შეთანხმების მიზნებისათვის, ამა თუ იმ მხარის „პირები“ მოიცავს ამ  
მხარის ყველა მოქალაქეს, და ამერიკის შეერთებული შტატებისათვის ასევე, ამერიკის  
შეერთებული შტატების მოქალაქეობის არმქონე ამჟამინდელ და ყოფილ სამხედრო  
მოსამსახურეებს, იმ ქმედების ან უმოქმედობასთან დაკავშირებით, რომლებიც  
სავარაუდოდ ჩადენილია ან წარმოშობილია იმ დროს, როდესაც ისინი არიან ან იყვნენ  
ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო მოსამსახურეები.
2. ერთი მხარის პირები, რომლებიც იმყოფებიან მეორე მხარის ტერიტორიაზე, თუ არ  
არის პირველი მხარის მიერ ამაზე გამოხატული თანხმობა.
  - a. არ იქნებიან გადაცემული ან გადაგზავნილი, ნებისმიერი საშუალებით, სისხლის  
სამართლის საერთაშორისო სასამართლოში არანაირი მიზნისათვის, ან
  - b. არ იქნებიან გადაცემული ან გადაგზავნილი, ნებისმიერი საშუალებით, ნებისმიერი  
სხვა ორგანოსა ან მესამე ქვეყანაში ან გაბეჭდულნი მესამე ქვეყანაში, მათი სისხლის  
სამართლის საერთაშორისო სასამართლოსათვის გადაცემის ან გადაგზავნის მიზნით.

3. როდესაც ამერიკის შეერთებული შტატები ახდენს მეორე მხარის პირის ექსტრადიციას, გადაცემას ან სხვაგვარად გადაგზავნას მესამე ქვეყანაში, ამერიკის შეერთებული შტატები არ დაეთანხმება მესამე ქვეყნის მიერ ამ პირის გადაცემას ან გადაგზავნას სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოსათვის, თუ არ იქნა გამონაკული საქართველოს თანხმობა.

4. როდესაც საქართველო ახდენს ამერიკის შეერთებული შტატების პირის ექსტრადიციას, გადაცემას ან სხვაგვარად გადაგზავნას მესამე ქვეყანაში, საქართველო არ დაეთანხმება მესამე ქვეყნის მიერ ამ პირის გადაცემას ან გადაგზავნას სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოსათვის, თუ არ იქნა გამონაკული ამერიკის შეერთებული შტატების თანხმობა.

5. წინამდებარე შეთანხმება ძალაში შევა იმ ნოტების გაცვლით, რომლებიც ადასტურებენ, რომ თითოეულმა მხარემ დაასრულა აუცილებელი შიდასახელმწიფოებრივი სამართლებრივი პროცედურები შეთანხმების ძალაში შეყვანისათვის. შეთანხმება ძალაში დარჩება ერთწლიანი ვადის გასვლამდე მას შემდეგ, რაც ერთი მხარე შეაგყობინებს მეორეს მისი სურვილის თაობაზე შეწყვიტოს წინამდებარე შეთანხმება. წინამდებარე შეთანხმების დებულებები აგრძელებენ მოქმედებას ნებისმიერი წარმოქმნილი ქმედების, ან ნებისმიერი წარმოშობილი ბრალდების მიმართ, რასაც აღვილი ექნება შეწყვეტის რეალურ თარიღამდე.

შესრულებულია ქ. თბილისში, 2003 წლის 10 თებერვალს, ქართულ და ინგლისურ ენებზე, ინტერპრეტაციის დროს განსხვავებების შემთხვევაში უპირატესობა ენიჭება ინგლისურენოვან ტექსტს.

საქართველოს სახელით

ამერიკის შეერთებული  
შტატების სახელით

ირაკლი მენაღარაშვილი

სტივენ რადმეიქერი

საგარეო საქმეთა მინისტრი

სახელმწიფო მდივნის მოადგილე